№1359 2015 წლის 25 ივნისი ქ. თბილისი

მიმდინარე წლის 13-14 ივნისს ქ. თბილისში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების თაობაზე

1. ნება დაერთოთ საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებს, მიმდინარე წლის 13-14 ივნისს ქ. თბილისში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებთან დაკავშირებული სამუშაოების დაფინანსება განახორციელონ 2015 წლისათვის განსაზღვრული შესაბამისი ბიუჯეტების ფარგლებში.

2. საჭიროების შემთხვევაში, ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ღონისძიების შეზღუდულ ვადაში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება ვრცელდება 2015 წლის 14 ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**